მაისი 1932 წ. № 13

# ნიანგი




ფასი 25 კაპ.

ნახ. ნადარეიშვილის

საბჭოთა პრესა ააშკარავებს იმპერიალისტების მზადებას ახალი ომის დაწყებისათვის



# ზოგიერთი შენიშვნა იუმორისტულ სატირულ საკითხზე
## (პრესის დღის გამო)

### საბჭოთა იუმორის ათი წელი

ქართული საბჭოთა სატირა-იუმორი მხოლოდ ერთი წლით არის უმცროსი საბჭოთა საქართველოზე. თერთმეტი წლის საბჭოთა საქართველოს ჰყავს ათი წლის პირმშო — ქართული საბჭოთა სატირა-იუმორი.

„ნიანგი" ათი წლის არის. მას ბევრი რამ მოეთხოვება. ის პასუხისმგებელია ახალი ცხოვრებისა და საბჭოთა პრესის წინაშე.

როგორც საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ძველ ნანგრევებზე (ნანგრევთა გაწმენდის შემდეგ) ახალი საქართველოს საძირკვლის ჩაყრა და შენება,—ასევე საბჭოთა იუმორს მოუხდა სრულიად ახალი სახის იუმორის შექმნა.

### ახალი შინაარსი და ფორმა

⁂

დაინგრა ძველი შინაარსი, ძველი ფორმა.

იშვა ახალი შინაარსი, რომელიც ახალ ფორმას თხოულობს.

საჭიროა ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში მოცემა.

ეს არც ისე იოლი საქმეა, როგორც ბევრს ეჩვენება.

ჩვენში იყო „ეშმაკის მათრახის" იუმორი, მისი ტრადიცია, მწერლობა და მხატვრობა. ჟურნალი არ გაშორებია (და ვერც გაშორდებოდა თავისი ბუნებით და მოწოდებით) წვრილ - ბურჟუაზიულ და მეშჩანურ მოთხოვნილებას და ქონიან გემოვნებას.

შიგ ბლომად ნახულობენ ფიზიოლოგიურ სიცილს.

### ჯანსაღი შეფასება

⁂

და, ალბად, იმიტომაც არის, რომ „ნიანგის ცრემლებით" (არა ჩვენი ნიანგის ცრემლებით) იგონებს ზოგიერთი „დაკარგულ სამოთხის" „მშვენიერებას".

საბჭოთა იუმორის შესახებ სულ სხვა საკითხი დაისვა.

„ნიანგს" არ შეეძლო „ეშმაკის მათრახის" გზის გაგრძელება, რადგან ეს გზა ტალახიანი, წუმპიანი და მცდარი იყო.

„ნიანგს" უნდა შეექმნა სულ სხვა შინაარსისა და ფორმის იუმორი.

ამის შესაქმნელად პირველად მას არ გააჩნდა ცოდნა და გამოცდილება (თითო-ოროლა ძველ ძალებზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო).

მაგრამ „ნიანგს" ჰქონდა, რაც მთავარია ნიადაგი, უნარი, ენერგია, სურვილი და მიზანი.

სწავლობდა... შეცდომებს უშვებდა და შეცდომების გამოსწორებით ცოდნას იძენდა. (**„არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს"**. (ლენინი).

### „ნიანგი"

„ნიანგის" მი- ი განვლილი ხაზი ზიგზაგია და ტეხილი. (ბუნებრივია, ასეთიც უნდა იყოს, — ფეხის ადგმისას ბავში პირდაპირ ვერ მიდის).

⁂

დღეს „ნიანგი" — საბჭოთა ქართული იუმორის გარკვეული სახეა.

ჩვენ არ ამბობთ, რომ „ნიანგი" უნაკლოა. მას აქვს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი (მისი ტეხნიკა ჩამორჩენაა რუსულ ანალოგიურ ჟურნალების ტეხნიკისაგან, მაგრამ დიდი მიღწევაა „ეშმაკის მათრახის" ტეხნიკასთან). ამას ყველაზე უფრო მისი მუშაკები ვგრძნობთ.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ გაკეთებული საქმეც.

### ახალი კადრები

⁂

ჟურნალის გარშემო შემოკრებილია ახალი ძალები: მწერლები და მხატვრები მშრომელთა წრეებიდან გამოსულნი.

ჟურნალი მასიურია.

საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ჟურნალს ჰყავს თავისი კორესპონდენტები.

იზრდება ახალი კადრი მწერლებისა და ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრებისა, რომელთა რიცხვი ათეულია.

სატირულ - იუმორისტული ჟანრი ერთ-ერთი სერიოზული ჟანრთაგანია ლიტერატურაში.

ბევრია მწერალი, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელია იუმორისტი მწერალი.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენში თითქოს ყველას უყვარს იუმორი, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიტერატურის ამ ჟანრს ალმაცერად უყურებენ, და უყურებენ არა ჩვეულებრივი მკითხველები, არამედ ზოგი ისინიც, რომლებსაც თავი ლიტერატურის ენციკლოპედიურ მცოდნეებად მოაქვთ.

გადავხედოთ ჩვენს ლიტერატურულ ბაზარს. ძალიან იშვიათად თუ წააწყდებით იუმორისტულ ნაწარმოებს.

— არ არის და რა დავბეჭდოთო!

—ალბად ასეთი პასუხი აქვთ მზად საყვედურზე (თუ კი ვინმემ გამოსთქვა საყვედური) გამომცემლობათა ხელმძღვანელ ამხანაგებს.

### მეტი ყურადღება

⁂

მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მათ რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ ამ საქმისადმი, უეჭველად წიგნის მაღაზიების ვიტრინებში, სადაც ბევრი რამ მიუღებელია, მეტი იქნებოდა იუმორისტული ლიტერატურა.

ამ ნაკლის ნაწილობრივ გამოსასწორებლად, „ნიანგის" რედაქცია უკვე შეუდგა მუშაობას, მაგრამ მარტო იგი ვერაფერს გახდება, თუ შესაფერმა ორგანიზაციებმა დახმარება არ აღმოუჩინეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ჟურნალი მტკიცედ დგას საბჭოთა კავშირის თანამოძმე ჟურნალების გენერალურ ხაზზე: — „კროკოდილი — „ნიანგი" არიან პოლიტიკურ სატირის ჟურნალები (ეს ყველამ უნდა იცოდეს!)

დღეს, გამძაფრებულ კლასთა ბრძოლის დროს ჩვენი ჟურნალი არის ერთ ერთი იარაღი, რომელიც გამანადგურებელ ქრილობას აყენებს მტერს. დაჭოილი სიცილის ხასიათზე ვერ იქნება. ვერც დამჭრელი დაიწყებს სიცილს ამ ბრძოლის დროს.

მაგრამ იგი (დამჭრელი) გრძნობს სიხარულს მტერზე გამარჯვებაში.

სიხარული კი იგივე ჯანსაღი სიცილია.

**რედაქცია.**

# „პრავდა“—„სიმართლე“

ნახ. ნადარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




— Не нравятся мне „Правда“; потому, что „Правда“ правду пишет.

— არ მოსწონს მე „პრავდა“,.. პრავდა სიმართლეა!



# როგორ გავხდი დამკვრელი მუშკორი

ვერ წარმოიდგენთ რა ძლიერი სურვილი მქონდა—გავმხდარიყავი კორესპონდენტი. მუდამ დღე იმაზე ვფიქრობდი თუ როდის დადგებოდა ის ბედნიერი დღე, როცა ჩემს წერილს გაზეთის ფურცელზე ვნახავდი.

ვწერდი ყველაფერზე, რაც კი თავში გამიელვებდა, რასაც კი ყურს მოვკრავდი; ვგზავნიდი თითქმის ყველა გაზეთებში, ვყიდულობდი ყველა გაზეთს, რომ სადმე თვალი მომეკრა ჩემი ნაწერისათვის. მაგრამ არ შეგჭამოს ჭირმა—ერთი პწკარი არც ერთ გაზეთში არ ჭაჭანებდა.

ბოლოს, როდესაც მოვიქანცე ამდენი წერით და ფრიად საგრძნობი გახდა გაზეთების ყიდვით გამოწვეული დეფიციტი ჩემი ჯიბისათვის, გადავწყვიტე შემევლო ერთ-ერთ რედაქციაში და გამეგო მიზეზი, თუ რატომ არ ბეჭდავენ ჩემს წერილებს.

— ვგზავნი აუარებელ წერილებს, გადის თვეები და არც ერთი არ იბეჭდება. რა არის ამის მიზეზი!—ვკითხე რედაქციაში ერთ პასუხისმგებელ ამხანაგს, რომელიც კი სრამდე ჩაფლული იყო წერილებში.

ჩემი შეკითხვის საპასუხოდ მან ვრცელი რჩევა-დარიგება მომცა იმის შესახებ, თუ რას უნდა შეეხებოდეს კორესპონდენცია, რანაირ ხასიათს უნდა ატარებდეს ის და როგორ უნდა იყოს დაწერილი, რომ ის დაიბეჭდოს გაზეთში.

— ამხანაგო, შენი წერილები თავიდან ბოლომდე ზოგადი ფრაზებისაგან შესდგება. კონკრეტული ფაქტები შიგ არც ერთი არ არის. სწერეთ ის, რასაც თქვენ ხედავთ; სწერეთ ისეთ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცება შეგიძლიათ და რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

სიტყვა არ მითქვამს. უკანვე გამოვბრუნდი. მას შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობდი—საიდან ამეღო ეს კონკრეტული ფაქტები.

ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიმტვრიე თავი ბოლოს გადავწყვიტე და დავსწერე:

**გაგედაქე პასუხისგებაშია მისაცემი**

**სამეურნეო ნაწილის გამგე ეფრემ გაბედაძე სახლში ეზიდება იმ საქონლის მეტ ნაწილს, რომელიც მუშებს უნდა დაურიგდეს. მაგალითად 12 თებერვალს მან ერთი კურტნის მუშით საწარმოოდან წაიღო თავის სახლში ათი კილო კარაქი, 8 კილო ყველი, ფართალი და 5 წყვილი ფეხსაცმელი. მანვე სრულიად უმიზეზოდ მოხსნა მშრომელი მუყაითი ქალი მარო ოსტაშვილი, იმიტომ რომ მან არ შეასრულა მისი უკანონო განკარგულება მისი საცხოვრებელი ბინის სისტემატიურად დალაგების შესახებ. ასეთი გამგე უნდა აილაგმოს“.**

**დამკვრელი—**

მოვაწერე ხელი და გავგზავნე ეს ცნობა „მუშა“-ში. თანაც დავსძენდი, რომ სულ ყველა ფაქტს დავადასტურებდი.

მეორე თუ მესამე დღეს ვხედავ ჩემს წერილს გაზეთში. ვაჰ, რა ბედნიერი ვარ— დავიძახე და ჩავიხუტე გაზეთი.

— მე ვიცი ვინ გამწერა, თუ კაცი ვარ, კისერს მოუგრეხ!—ცოფმორევით გაიძახოდა ბიძაჩემი ეფრემი (მე მასთან ვცხოვრობდი).

მეორე დღესვე შესდგა საგამომძიებლო კომისია. ვფიქრობდი—რას გაიგებს, როგორ გაიფიქრებს გულში, რომ მე დავსწერდი. რედაქცია არ გამცემს. ბიძაჩემს დაუმტკიცდება ყველაფერი, ჩემი ავტორიტეტი აიწევს რედაქციის თვალში.

იცოცხლეთ ეფრემს დააყენეს შავი დღე. მოხსნეს სამსახურიდან და მისცეს პასუხისგებაში, მაგრამ არც მე დამადგა კარგი დღე. როცა ბიძაჩემი თავის გასამართლებელ საბუთებს ქექავდა, სადღაც წააწყდა ჩემი კორესპონდენციის ასლს (ეს ცუდი ჩვევა მჭირდა, რასაც რედაქციაში გავგზავნიდი მის ასლს ვინახავდი იმ მიზნით, რომ შედარება მომეხდინა შემდეგში.

— სახლში მყოლია მტერი!—იყვირა ბიძაჩემმა და გამომედევნა. შველივით გადავხტი ფანჯრიდან და მას შემდეგ ბიძას ახლოს არ გავკარებივარ.

შემდეგ ის დააპატიმრეს, მე აღვიდგინე ნდობა რედაქციაში, შევეჩვიე წერას, გავეცანი მუშკორის ამოცანებს და ეხლა დამკვრელი მუშკორი გახლავარ.

**სეგეირ-ბენ-შეიხ.**

# მაშტაბიდან მაშტაბამდე

შორს იჭვრიტებოდა საამქროს გაზეთ „ჰოგრიტის“ სულცხონებული რედკოლეგია.

ეს გაზეთი ხრახნილების საამქროსთან გამოდის და როგორც მისი წინა სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე იტყოდა, ფეხდაფეხ მისდევს წარმოებას.

ყველას ახსოვს სოციალისტური შეჯიბრების პირველი პერიოდი. ახმაურდენ მუშათა მასები, ახმაურდა პრესა.

საქარხნო „ჰოგრიტიც“ ფეხდაფეხ აყვა ამ მოვლენას. იგი ისე გაიტაცა ენტუზიაზმმა, რომ მისი უზარმაზარი წერილი მთელ გაზეთს გადაეფარა და ადგილი „ფოსტისთვისაც“ აღარ დარჩა.

— „მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები დღეს აქტიურად იშლება ჩვენს ჰორიზონტზე... საერთაშორისო პოლეტარიატის სიტუაცია განისაზღვრება იმ ექსტრაორდინალური მოტივებით, რომელიც რომ მოტივები“...

დატრიალდა ჰორიზონტები, სენტენცია, ტენდენცია და სხვა ასეთი მაღალი ფრაზები.

წერილი თავდებოდა მოწოდებით:

„...ამიტომ ვერავ სიგურანციას საპასუხოდ ჩვენი საამქროს მუშათა კლასის მასამ უნდაააფრიალოს სოცშეჯიბრების დროშა...“

მუშები ფრიად გააკვირვა ამ წერილის სიგრძემ და შინაარსმა.

-- იცოცხლეთ მსოფლიო რევოლუცია კარგია, მაგრამ რამე შინაურ საკითხებზე არ ჯობდა? ასე ისმოდა აქა-იქ.

—:—

ხანი გავიდა და როგორც ყველას ემახსოვრება, მეხივით გავარდა დამკვრელი მოძრაობა. ათასეული მუშები ჩადგნენ დამკვრელთა რიგებში.

დამკვრელობაში სხვებს არც ჩვენი საამქრო ჩამორჩენია.

რაღა თქმა უნდა „ჰოგრიტიც“ ახმაურდა. მისმა ერთად ერთმა წერილმა კვლავ დაფარა გაზეთის მთელი სივრცე.

## „დამკვრელობა ყურადღების ცენტრში“

ასეთი იყო ანშლაგი და წერილიც ასე იწყებოდა.

„...მაგრამ, სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ დამკვრელობას, მოვიგონეთ, თუ რა ხდება ამჟამად ავსტრალიაში: ავსტრალიის მუშათა კლასს მოჯამაგირეობას და ლარიბ გლეხობას განზრახული აქვს თავზარდამცემად შეუტიოს კაპიტალისტებს და ფერმერებს“.

—„ რატომ“?—კითხულობს კედლის გაზეთი და აღრმავებს ავსტრალიის რევოლუციას: „ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვიგონოთ ავსტრალიის აღმოჩენის და მისი დაპყრობის ისტორია“.

როგორც მკითხველი მიხვდება შემდეგ მიდის ავსტრალიის გეოგრაფია, ტოპოგრაფია და პეიზაჟები.

ეს წერილი არ დაეტია გაზეთში და ამიტომ:

„გაგრძელება იქნება“,—აღუთქვა „ჰოგრიტმა“ მკითხველთა ფართო მასებს

— კი, მაგრამ რა შუაშია აქ დამკვრელი მოძრაობა! რა კავშირი უნდა ჰქონდეს მას ავსტრალიის დაპყრობის ამბავთან? —კითხულობდა გაკვირვებული მკითხველი მუშა.

გამოვიდა „ჰოგრიტის“ მორიგი ნომერი.

## „ფართო გზა შეშხვედრ საწინვებმას“

ასე ღაღადებდა ანშლაგი, ქვემოთ კი, თითქმის სვეტის მანძილზე გაშანშალებული იყო წერილი საერთოდ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში იმპერიალიზმის თარეშის შესახებ.

„...ამიტომ,—თავდებოდა წერილი,—ფართო თვითკრიტიკის, შეხვედრ საწინვებმას, დამკვრელობის, გამსვლელ ბრიგადების მოძრაობის და სხვათა საფუძველზე კოლონიალურ ქვეყნების პროლეტარიატმა ღრმად უნდა შეუტიოს გაბიუროკრატებულ იმპერიალიზმს და საქმის გაჭიანურების აღმოფხვრით უნდა აღკვეთოს კაპიტალიზმის თარეში. მაშ გაუმარჯოს ერთპიროვნულ მმართველობას, პლიუს რაციონალიზატორულ ანგარიშით“.

—ან ჩვენ არაფერი გვესმის ან ეგ რედკოლეგია შეირყა!—ასე ისმოდა უკვე ხმა მაღლა.

გამომგონებლობის ერთთვიურის გამო „ჰოგრიტი“ შემდეგნაირი ანშლაგით გამოვიდა.

## „გზა მიეცით გამომგონებლობას“

„...გამომგონებლობა იგივე აღმოჩენაა, ხოლო ყველაზე თვალსაჩინო აღმომჩენი იყო კოლუმბი, რომელმაც მთელი ამერიკა აღმოაჩინა. მაგრამ ჩვენ ვკითხულობთ: ეკუთვნის თუ არა ჯილდო ბურჟუაზიულ ქვეყნის აღმომჩენს?

-- ეს კი მეტის მეტია, ეს რედკოლეგია უნდა გადირეკოთ.—ასეთი იყო საერთო ხმა.

— სად არის დაფასება?—ეკითხება რედკოლეგიის ყოფილ თავმჯდომარე რედკოლეგიის ყოფილ წევრებს.—მე ორ ფრონტზე ბრძოლაში გამობრძმედილო. სამაგალითო ჟურნალისტი, გადამაყენეს, აირჩიეს დაზგის მუშები... მერე და რას სწერს ახლა „ჰოგრიტი?“ მსოფლიო მაშტაბებიდან რაღაც წვრილმან ყოველდღიურ, უბრალო და შინაურ საკითხებზე გადავიდა, წერილები თითო გოჯაა, რომ მოინდომოს გაზეთი ორმოცი მუშის წერილს დაიტევს.... ეგ არის გაუმჯობესება?..

— ეგ არის თურმე ეგ, ჩემო კაპიტონ! შე კაცო, არ იქნა და ვერ შემოგაბრუნეთ წარმოებისაკენ, ბრაზილიის პრემიერის ნათლობაზე სწერდი და ჩვენი დაზგების ამბავი ერთხელ არ გახსენებია!

ალლარ-ალლარსან.

### ელდა

ნახ. ალდადაროვასი



ს.-დ. დავილუპეთ, მართლა აშენებენ სოციალიზმს საბჭოთა კავშირში

ნახ. დონის

პროვოკაციას ვეწევი
და ვერ ვასვენებ ენასა,
ვერ ვიშლი ძუკნა ძაღლივით
საბჭოთა მხარის კბენასა.
მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს,
მან ამიტეხა კვნესამე,
პირში ლაგამად მედება
წითელი მხარის პრესა მე.






# ბულბულები სალაროში

სახელგამს შეველ შენაღონები,
მოკრძალებით მსურდა ფულთა კონები;
ჩემთვის კუთვნილის ჰონორარისა,
ვიკითხე: „საქმე როგორ არისა“?
ბუღალტერ იჯდა ბიუროკრატი,
წარბშერჭმით იყო, როგორც სოკრატი,
დავთრებში ჰქონდა ცხვირი-ქედით,
ჩემთვის მას არც კი მოუხედია.
თავის კონწერო მან შეარხია...
ვსცან ძაღლის კუდი რაშიც მარხია:
უარს ნიშნავდა ეს მისი რხევა,
რომ არ გაიგო, მე განა ხე ვარ?
მაშინ მირჩიეს:—მიმართე ბარონს,
ეგები მაშინ შენ ჩაგაბარონ
თარგმან-ნაწერთა გონორარები,
შედი, შეაღე მისი კარები!
შეველ კაბინეტს ბარონისასა,
— ფული მთამიდეთ,—ვუთხარ ქისასა!
ბარონი მტყორცნის სიტყვას მადიანს
(ტკბილი კაცია, როცა სწადიან):
— როგორ გავიძლოთ ამდენ ბულბულებს
ყველა რომ მღერით ფულებს და ფულებს?
რაც გითარგმნიათ, რაც გიწერიათ,
ანგარიში რომ ხელთ გიპერიათ,
მისაღებელად მოხვალთ თუ იმის,
თუ თქვენ მოგინდით დღეს და სხუიმის.
ვით დავსწერ დრამას ახჩა-კუიმის,
ფულს დაცდა უნდა, დაცდას კი—ჟამი,
ჟამითა გკვებავთ თქვენ სახელგამი.
მაინც მიდი და ჰკითხე ნიკოლოს,
ეგები იმან ჩამოგიყოლოს
მიზეზნი რთულნი, ანუ იოლნი
და არ დაგტოვოს გულნაკლიონი,
შენ ცისშვილი ხარ, ის კი—მიწისა,
ბულბულთა ენა იმან იცისა...
წაველ, ნიკოლო მოვინახულე,
სჯდა, როგორც ხატი ძველი ხახულის,
„წმინდანიანი“ „ეპოპიური“
პირგანაპარსი „ევროპიული“.
გარს უსხდენ დასნი ბულბულისანი,
ყველა რანგის და ყველა ხნისანი.
და სტვენდენ ყველა თაბახ-თაბახით,
ზოგი კრძალვით და ზოგი ტრაბახით.
— თუ მე არ მომცემთ,—ტია-ტიონით
მღერდა ტაბიძე გალაკტიონი,—
მაშ ვიღას მივსცემთ, დავარდნილ ქოქის?
ხომ ვარ პოეტი მთელი ეპოქის?
— ნუ წაგიღიათ ილაჯობია,
ჩემი „ნამუსი“ ვის არ ჯობია—
შეიფურთხიალა სოსო ბულბულმა,
გრიშაშვილურად ცეცხლმოდებულმა.
— მეც ქი ვთარგმნე და კონტრაქტაციით
ჩაის ვსწერ აგერ ზანტის გრაციით!—
ავანსს ითხოვდა ჩვენი ტიციან,—
(ბულბულთ ავანსის კენკვაც იციან)
„ბამბის ჩხრიალით“ ნაჭიკჭიკოვანს
უსმინე ჰანგი სიმონ ჩიქოვანს.
სიმონ ბულბული თანამგზავრია,
მას არ აწუხებს ფულის ჯავრია;
უმღერს და უმღერს რევოლიუციას,
ლექსებს ბრიალას, არა ბრუციანს.
შემოვლენ კარლო, პეტრე, ალიო:
—„ბულბულთ ირღვევა ჩვენგან რკალიო
ლექსის წერაში ვინ გვყავს ცალიო?—
დრამატურგიის ჩვენ ვქმნით ალიონს“—
„განგაშს“ ასტეხენ, ავლებენ „სალტე“-ს
„როგორ“ მღერიან ერთად და ცალკეც!
შემოფრინდება ორი კოწია
ერთი ზანტია, ერთიც—კოპწია.
კოწო ბულბული ხელში მწევარით,
თავზე ცილინდრით—წელს სატევარით,
ყვითელ ტუფლების ქუსლზე დეზებით,—
ყალბ ჰანგზე უსტვენს მომიზეზებით.
— ვინ არის ჩემთან შოთა, ილია?
მის კლასიკობა მოგონილია!
კლასიკი მე ვარ თუ გინდათ სწორი,
უცილობლობდა ვითარცა... ჭორი
—ნუ გეგონებათ, ფული მწყურს დია!
მღერდა „ბულბული“ გამსახურდია!
თუმცა ამძიმებს ამ ჩიტს ქამანჩა,
მაგრამ ვსცან ნამდვილი საცნაურითა:
რომ ჩვენც გვქონია თურმე ლამანჩა,
მის ერთად ერთი აზნაურითა.
უსმენ და უსმენ ბულბულთა კრებულს,
ნიკოლოს ირგვლივ ჩამომწკრივებულს:
ზოგი თარგმანჭყოფს, ზოგი სცემს კრებულს,
ზოგიც კლასიკოსს მზივამღერებულს,
სიკეთეს უწევს და მის წიგნს დაღათ,
„რედაქტორიო“ ხელს აწერს ლაღათ!
და ამ გაწეულ მაღალ ჯაფაში,
ხომ უნდა ჩაყოს ხელი ფაფაში?
და ამიტომაც ბულბულთა კრება,
სახელგამის წინ ყოველდღე სხდება
და მათ ჰანგებში ჩაფლულ ნიკოლოს,
რა დარჩენია, რით შეგიყოლოს,
თუ „ხვალ-ხვალობით“ არ მოგიცილოს,
თანაც დესერტათ არ შემოგცინოს?
„ხვალის“ პასუხი მივიღე მეცა,
და თუ მწყენოდეს, გამიწყრეს ზეცა,—
რადგან ბულბულთა თუ მოხვდი დასსა,
ხვალ მეც მივიღებ ღირსეულ ფასსა.

ფარსადან

# ჩვენი დამლაგებელის ნაამბობი

დღეს დილით, როცა ამხ. ნიანგი რედაქციაში მოვიდა, დამლაგებელმა მოახსენა ნიანგს:

როცა რედაქციაში მოვედი ამ დილით ადრე დასალაგებლად, კარებთან ვიღაც ახალგაზრდა სოფლელს ეძინა. სასთუმლად სავსე ხურჯინი ამოედვა თავქვეშ. ეძინა და ილიმებოდა ძილში.

— პოეტი გავხდები... ლექსები დაიბეჭდება!—ბოდავდა ძილში.

როცა გაეღვიძა, ხურჯინით რედაქციაში შემოვიდა.

— აქ არის „ნიანგის“ ერდაქცია?—იკითხა მან.

— დიახ, აქ არის!

— ნიანგი სად ბრძანდება?

— ჯერ ადრეა, მალე მოვა.

— შენ გამოცდილი კაცი ხარ და მითხარი ამ ლექსებს თუ დამიბეჭდავენ!—და ხურჯინიდან დაიწყო ლექსების ამოლაგება.

— მე ვერაფერს გეტყვი.

— ალბად შენც გეცოდინება, რომ ვაჟა-ფშაველა ხურჯინით ჩამოდიოდა მთიდან და ხურჯინით მოჰქონდა ლექსები. მეც სწორედ ასე ვქენი. ერთი სიტყვით, მე და ვაჟამ დავიწყეთ ეს ამბავი. ვაჟაც კარგი პოეტი იყო... ჰო, იმისი თქმა მინდოდა, პოეტობამ და ლექსებმა მუშაობაზე ხელი ამაღებინა. არაფერს არ ვაკეთებდი წერის გარდა. მამაჩემმა ამის გამო პანღური მკრა და ეზოდან გამომაგდო, მაგრამ არა უშავს, ყველა დიდ პოეტს ასეთი ბედი აქვს!—და აქ მან რამდენიმე თავისი ლექსი წამიკითხა.

— ძალიან კარგი უქნია. ცუდად ლექსების წერას ცუდად მუშაობა სჯობია!—დავაპირე თქმა მარა თქმის საშუალება არ მომცა.

— ხომ გამოსცემს ნიანგი ამ ჩემს ლექსებს?

— არა, ნიანგი არ გამოსცემს?

— აპა ვინ გამოსცემს?

— რა ვიცი.

— სახელგამი?

— ჰო, სახელგამი გამოსცემს.

„პოეტმა“ ხურჯინი მხარზე გადაიკიდა და წავიდა.

— ალბათ სახელგამი უარს არ ეტყვის ლექსების გამოცემაზე!—გაათავა დამლაგებელმა ნიანგთან ლაპარაკი.

რინ-ტინ-ტინ.

# „დაჯილდოება“

## (ცოცხალი ამბავი ბათომის სინამდვილიდან)

— თუ ხათრი გაქვს ნუ იზამთ მაგას, თუ რამე გამიკეთებია, იმისათვის მადლობა გამომიცხადეთ და მორჩა, არავითარ ჯილდოს არ ვთხოულობ!—ვუთხარი პროფკავშირის თავმჯდომარეს, რომელიც ჩემს დაჯილდოებას მოითხოვდა და სიაშიც შეტანილი ვყავდი.

— არ შეიძლება, ამხანაგო, დაჯილდოვება ადამიანის შეფასებაა!—მითხრა მან და გამაჩუმა.

საერთო კრებაზე, სადაც დაჯილდოვებულებს ამტკიცებდენ, ჩემი გვარიც ამოიკითხეს.

— **„ამხანაგი ბლაყუნა, როგორც გეგმის ენერგიული, თავდადებული შემსრულებელი“** (და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ არ დამაბრალეს)... **„დაჯილდოებულ იქნას 150 მანეთით“.**

ორი დღის შემდეგ ვილაცამ ეს ფულებიც გადმომცა, ხოლო მესამე დღეს მოწერილობა მომიტანეს, რომ აღნიშნული თანხა ნაწილ-ნაწილად დამეფარა.

— თუ ჯილდო იყო, რად მახდევინებენ, ხოლო თუ ჯილდო არ იყო, რად მაძლევდენ?—ვიფიქრე, მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს. გადავიხადე ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ჯილდო.

ეს იყო 1930 წელში.

განვლო დრომ. დამავიწყდა „ჯილდოს“ ამბავი და სრულიად დამშვიდებული, შევიარე ერთხელ დამკვრელთა კრებაზე. თავმჯდომარე კითხულობდა საუკეთესო დამკვრელთა სიას და ჯილდოს, რომელსაც ამა თუ იმ დამკვრელს აკუთვნებდენ. ვზივარ ჩემთვის არხეინად და ვუცქერი მათ სახეებს, რომლებსაც სიით კითხულობენ.

— ამხანაგი ბლაყუნა,—გაისმა უცებ თავმჯდომარის ხმა და მეც ტყვია ნაკრავივით წამოვარდი.—საუკეთესო მუშაობისა, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, მასიურ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობისა, ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მრავალი სხვა დავალებების შესრულებისათვის დაჯილდოებული იქნეს...

ამ სიტყვების გამგონს, ზედმეტი განცდის გამო გული წამივიდა და სიხარულის ცრუანტელმა დამაბრუა.

მეორე დღეს ამხანაგებმა მაყარიჩიც გადამახდევინეს დაჯილდოების აღსანიშნავად. ჯილდო კი დღემდი არავის გამოუგზავნია და რომც გამომიგზავნონ, არ მივიღებ (მახსოვს 1930 წ. „დაჯილდოვების“ მაგალითი). არავის მოუცია და არც ვინმეს აზრად აქვს მომცეს. არც მინდა, ხოლო შევიდენ ჩემს მდგომარეობაში და, როცა ასეთი დაჯილდოვებები ხდება, ნუ მიმიწვევენ კრებაზე, თორემ დარწმუნებული ვარ ერთხელ კიდევ რომ ასე დამაჯილდოვონ, იქვე გავფშიკავ ფეხს და მაშინ ასე კი ვერ შეირჩენენ, დამარხვა დამჭირდება.

**კ. ოგოლი.**

# ფანტასტიური სახლი

ნახ. ალდადანოვასი

რამდენიმე წელიწადია, რაც გაისმის ლაპარაკი პრესის სასახლის აგების შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია რეალურად გაკეთებული.



ადგილის გამონახვასა შრომა არ უნდა დიდი.

სიტყვებმა სახლი ააგეს. აგერ მთვარეზე ჰკიდია

# ლექსი თუ რითმა

**ამ ლექსს ვუძღვნი იმ ახალგაზრდა პოეტებს, რომლებმაც ლექსი ისე გაიგეს, როგორც რითმის მიგნება.**

გუშინ აივანზე გაიშალა
ზამბახი, ია, გლიცინია.
აღარ მიჰქარო,
მგ ერთხელ გიცანია.
დაანგრიეს სობორო რუსული.
საწყალმა ფოტინემ დაიწყო კრუსუნი.

მიყვარს, როცა ჩავიცვამ
კ...უმზე გალიფეს.
საქეიფოდ წავიყვან—
ჩემნაირ არიფებს!
აგაფრიალე ყავარი,
ლექსი დავწერე რავარი!
სულ ოქროა და ჯავარი.
ააფრინე ალალი,
რაც არ არი—არ არი!

ჩემი კუჭი გახმა,
გამზერა ისპანახმა.
მე მომწონს ჩვენი დროება,
ქალს კუდზე რაღაც მოება.
მაშ დამიკარით ტაში,
ხომ პოეტი ვარ მალადეც?
რა ლექსსაც გინდა დაგიწერთ
აჯაბსანდალს თუ ხალადეცს.
(მიკვირს ამნაირ პოეტებს,
რატომ არ იჭერს ხმალაძე?)

**ფირუზი.**

# თავისებურად გაიგო




კულაკი: — მაშ ჩემგან რა უნდათ? მეც არ ვუთმობ ჩემს მიწებს კოლექტივს!

**ახალი წიგნი**

გამოვიდა **ს. თოდრიას** იუმორისტული ფელეტონების კრებული:

**„უგად ასალები—წყალწასაღები ამბები".**

წიგნი მეორე

იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში.

დღეს, დილის 10 საათზე

**შესდგება „ნიანგთან"**

არსებულ ორივე წრის მეცადინეობა

დასწრება მსმენელთათვის სავალდებულოა




ნახ. ნადარეიშვილი

ოცი წლის
  წინად
    შენი
      სიტყვა
        ქუხდა
          ყუმბარად.

რევოლიუციის
  ალტკინების
    წლებში
      უდიდეს.

კალლა
  ეპირათ
    ბრძოლის
      დროშა
        ლენინს და სტალინს.

შენი
  სახელი
    მტრებს
      ხვდებოდა

გულში
  ცხელ
    ტყვიად:

შეფის
  დამქაშებს
    ობორონცებს
      ლიკვიდატორებს.

ყველგან
  წვდებოდა
    შენი სიტყვა

შორეულ
  მხარეს
    დედამიწის
      ყველა კუთხეში.

ოცი წელია
  ლენინის გზით
    რაზმავდი
      მასებს.

ოცი წელია
  პარტიის ხაზს
    იცავდი მტკიცედ.

ოცი წლის
  თავზე
    ნაცადი გზით

კვლავ
  წინ
    გვიძღვები
ახალ ცხოვრებას
    სოციალიზმს
      ჩვენ ვეგებებით
ვჭედავთ
  ვაშენებთ
    და ერთმანეთს
      მხრებში ვუდგებით

ისევ
  და ისევ
    შენი სიტყვა
      ქუხდეს
        და ჰქქდეს.

ს.—ლი.



## წითელი პრესა

წითელი პრესა
რასა იქს დღესა?
ის არის ლესა
ხმლის და მახვილის,
ის არის ტევა
ბრძოლის ძახილის,
მტრის გულის ხევა,
მწვავე საზმილის!..
რას მიედ-მოედებიან ამ გაზეთებში?!
ჰკითხულობს ვინმე ობივატელი
და გაზეთს ბრაზით აბრუნებს ხელში,
რადგან ამ ცნობამ მოსწყვიტა წელი:
„გაზეთის ბრიგადამ გამოარკვია,
რომ კოლმეურნეს კულაკმა ტყვია
გულს იაუტარა და მიიმალა...
მხოლოდ დამალვა ვინ დააცალა?
სტაცეს ხელი და მისცეს სამსჯავროს,
დასაჯეს ისე, ვით შვენის ამ დროს:
ხვდა უმაღლესი ზომა—დახვრეტა!..
—უჰ!.. სისრულეში მოვიდა, ნეტა?!.
და იქვე, ჰვევით—კვლავ ცნობის ეშვი:
„მოყვანილია ის სისრულეში!“..
—არ არის, არა ამათგან შვება!..
და ობივატლის წარბს ზემოდ წვება
ხუთ-ხუთი ღარი იქით და აქეთ...
—მოდით და ნახეთ!.. მოდით და ნახეთ!..
უჩვენებს იგი ამ გაზეთს ყველას...
თითქოს იმათგან ელოდეს შველას...
შველა კი თითონ ამ გაზეთშია
და ობივატლის ამ შავს დღეშია,
...ან წითელი პრესის მახვილი
...კისერზეა დაწვდილ-დახრილი,
...მშრომელთ მიზნებს ემსახურება!..
... ობივატლის აფაფხურება,
... მუქარა, ვერცა სისინი,
...იზამს, რასაც ჰფიქრავენ ისინი!
...იზამს, რადგან წითელი პრესა
...ლიუციას მსახურობს დღესა!
...ერობს იგი მუშათა მასებს,
... დანარჩენ გადასულ კლასებს
...ჯიუტად გარდამავალებს
...ვი ბწკარით უბრმავებს თვალებს,
...გულს უკოდავს ყოველი სვეტით,
...ნება რა—ვით შუბი-წვეტით,
ან, ვით ჩაქუჩი—გრდემლს, ურტყამს გულ-
ში!
და ველარ არჩევ წყალ-წაღებულში
მუშათა კლასის ორგულს ყოველსა,
ამ დროს უსაბამ უშნო ცხოველსა!..
რადგან შრომის სდგას დღე-ბედნიერი,
და ეგ შრომის ხმაც მძლე და ძლიერი
ბრძოლის ნაღარად გაისმის დღესა!
აი, რა არის წითელ პრესა,
წითელი თვისი აზრით და გზებით,
დიად საქმით და ერცელ ასპარეზით,
პარტიის ხაზით განმტკიცებული,
მებრძოლი, მაგრამ გამარჯვებული!..

ჯაზირა.





— ეს ბეჭდვითი სიტყვა კი არა ნამდვილი

ნახ. დონის

## წერილი გომიდან

კაკო ჩაჩუას გაგაცნობთ
ვინც ჩვენი თემის „თვალია“,
უჯრედებს არ ხელმძღვანელობს!
არასდროს „არა სცალია“.
რადგან ყოველდღე მთელის,
ტიკები დასაცალია!
აქ თავმჯდომარეს აუტყდა,
თვითონ ყოველდღე მთვრალია,
მასწავლებლობა დალანძღა:
დავით, თედორე, ალია.
5 მარტს ქორწილში კულაკთან
სავსე ყანწები დალია,
6 მარტს კი დილით გლეხები
საბჭოში მიმავალია.
კაბინეტს კაკო გორაობს,
გულზე ედება ალია;
მაყარი იყო იმ ღამეს,
არ დაუხუჭავს თვალია,
ყანწების ტრიალს შეექცა,
მით „მოიხადა ვალია“.

დილა იყო. ათ საათზე,
რომ შეგროვდა გლეხთა გროვა,
იძახიან: — კაკო გვინდა!
სად ბრძანდება, როდის მოვა.
თავმჯდომარე ძაგანიამ.
მოიხმარა ჯერხი ყველა,
მაგრამ, „გმირის“ გაღვიძება
არაფერი არ ეშველა.

***

კბილ-გასაკრავი მეორე
გვყავს ამ თემში სანახავი,
ილარიონ ქორიძეა,
კაცუნაა მეტად ავი.
შარშან კოლექტივში შეძვრა,
დაითხოვეს ორჯერ მგონი,
გომის თემში ყველასა აქვს
ეს ამბავი განაგონი!
ძროხა მისცეს. დაეხმარენ.
გამოუსვა ყელში დანა,
ხარი მისცეს, მასაც შემდეგ
დღე დაადგა იმისთანა.

შეიბრალეს. კოლექტივში
გააჩერეს კვლავად ისევ,
ეგონათ, რომ მიეცემა
მუშაობის სიხალისე.
შემოდგომას, რონ ყველანი
ოფლის ღვრაში იწუროდა
ილარიონ „ავად გახდა“,
თურმე იგი სხვაგან რბოდა.
დღეს ბაზარში სიმინდს ჰყიდის.
რასაც ვამბობ მართალია.
„ეპოდანაი“ გააცოცა
შაქარი, თუ ფართალია.
ეს მუწუკი ამოსჭერით,
თორემ სხულს ავადებს.
ნუ დაუდებთ სპეკულიანტს
გასწორების ასეთ ვადებს.
მუშგლეხინო შენ გასაჯე
მათი კანონ-სამართალი.
თემში ველა დაამტკიცებს
რაც აქა ვსთქვი არის მართალი.

**„შიხლინსკი გომზ“**

# წიგნაკი „ზ“-ე

სულცხონებულ მუშკოოპს და მის მემკვიდრეებს—სხვადასხვა ჯურისა და სახის კოოპებს, ჰქონდათ და აქვთ მრავალსართულიან-კატეგორიანი წიგნაკები, რომელთა მიხედვით მომხმარებლები ღებულობენ კუთვნილ სასურსათო ნორმას.

წიგნაკი „ზე“, რომელიც ხმარებაში უფრო და უფრო შემოდის, შემოღებულია მხოლოდ კოოპერატივის მუშაკთა მიერ.

გულუბრყვილო ხალხი იკითხავს:
—ვის ეძლევა ასეთი კარგი წიგნაკი—„რომელ კატეგორიის მუშას თუ მოსამსახურეს?

წიგნაკ „ზე“-სათვის არ არსებობს კატეგორია. იგი აბსოლუტური კატეგორიაა. იგი შიკრიკსაც აქვს და დირექტორსაც, თუმცაღა პირველს ძალიან იშვიათ შემთხვევაში და ისიც სრულიად უმნიშვნელო საქონელზე.

რასაკვირველია, ხელში ეს წიგნაკი როგორც ასეთი არავის არა აქვს. არავინ იცის მისი ფერი, ყდა და შიგა გვერდებზე რა წესდებაა. მიუხედავად ამისა, წიგნაკი „ზე“ ყველაფერს შოულობს.

გაადვილების მიზნით ნიანგის რედაქციაში ლევარსი როხრობაძის მიერ წარმოდგენილია „ზე“ წიგნაკის ასეთი ფორმა და შინაარსი:




ყდა ჭრელი. ყდაზე წარწერა—„ზე“ ქვეშ ფრჩხილებში „ნაცნობ-ნათესავებისათვის“.

წესდება:

1. კოოპერაციის მიზანია ნაცნობ-ნათესავების მომარაგება იმ სურსათ-სანოვაგითა და ყოველგვარი დეფიციტიან საქონლითა, რომელიც განაწილებული უნდა იყოს ჩვეულებრივ მომაკვდავ მომხმარებლებზე.

2. საპაიო გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან წიგნაკი „ზ“-ის წევრები.

3. ურთიერთ დაახლოების მიზნით ხშირად უნდა ხდებოდეს წევრებსა და კოოპმუშაკთა შეხვედრა ქეიფსა და ლხინში.

ასეთია მოკლედ წიგნაკ „ზე-ს შინაწესდება.

**კირილე საფიჩხიელი.**

*) ამ წიგნაკის სახელწოდება ასეთია—„ზნაკომისტვო“ —ნაცნობობა. წიგნაკის სახელწოდებად აღებულია სიტყვის პირველი ასო „ზ“.

# „რწყილი და ჭიანჭველა“

ნატახტარის რადიო-სადგურის მშენებელი ინჟინერი და ამავე სადგურის სამრეწველო-საფინანსო გეგმა დაძმობილდნენ, გაუდგენ გზასა,—მიადგენ ერთ უხიდო მდინარეს.

ინჟინერი ახტა-დახტა და მცხეთაში მეურმეთა არტელის გამგეობაში დახტა. გეგმა ახტა-დახტა და უძირო ტალახში ჩავარდა. ინჟინერი, მეურმეთა არტელის გამგეობას შეეხვეწა:
პატივცემულო გამგეობავ! მომეცით ურმები, ურმებით გადავზიდავ ქვასა, ქვით ამოვავსებ ჭაობსა, ავსწევ კედლისა, ავაშენებ რადიოსა და დავიხსნი გარღვევისაგან ჩემსა ძმობილსა სამრეწველო გეგმასა.

არტელის გამგეობამ უპასუხა:
ჩვენ რომ ნალები და ურმის თვლები გვჭირდება: მოგვიტანეთ ერთიცა და მეორეცა—მოგცემთ ურმებსა და გადავზიდავთ ქვასა და ხესა და ამოვიყვანთ ტალახიდან იმ თქვენ გეგმასა.

ინჟინერი ახტა-დახტა და ჩამოხტა ორგანოსა მასა, სადაც აკეთებენ ურმის თვლებს და ნალსა.
აქ ტრესტის დირექტორმა ინჟინერს უთხრა:
ჩვენ რომ ნედლი მასალა გვჭირდება; მოგვიტანეთ ნედლი მასალა, გავაკეთებთ ურმის თვლებსა და ფეხსაცმელის ნალსა, ეს შენ წაუღე შენ შუამავალსა. ის გადაზიდავს ხესა და ქვასა; დაიხსნი გეგმას შენს პირმშო ძმასა.

ინჟინერი ახტა-დახტა და ნედლეულის ტრესტში მოადინა ფხეკა; კარებზე დარეკა, მოეგება დამლაგებელი ეკა; ტრესტის დირექტორმა მარებში აირეკა, ინჟინერს მოსთხოვა მუშათა სასადილოსათვის ცხვრები მოერეკა, კარტოფილი და ხახვიც მოენახა, ამაზე მეტი საშუალება მას ვერ გამოენახა. ამის შემდეგ ის ნედლეულს მიიღებდა, ამით ის ნატახტარის დირექტორის გულს მოიგებდა, ამის შემდეგ ურმის თვლებსა და ნალებს მიიღებდა.

ინჟინერი ახტა-დახტა და „გრუზკოოპიტში“ შეხტა.

— „გრუზკოოპიტ“, მომეცი ხახვი, კარტოფილი და ცხვარი;

„გრუზკოპიტმა“ ინჟინერს ღვინო მოსთხოვა.

— შენ თუ გინდა პატივი სცე ამ ჩვენ სასადილოსა, მას მოუტან ღვინოსა; ღვინოში ვნახავთ მოგებას, მაშინ შენ თხოვნაზე გრთავთ ნებას.

„ღვინტრესტმა“ ინჟინერს შაბი მოსთხოვა.

— მომიტან შაბიამანსა, მოვწამლავ ვაზსა, მოვიყვან ღვინოს ტკბილსა და ნაზსა, ზოგს შენ წაიღებ ზოგიც ჩემია; შაბი მიშოვნე შენ გირჩევნია!

ასე გავიდა ერთი კვარტალი,
მან ვერ გაიგო სიტყვა მართალი,
ზოგს ღვინო უნდა, ზოგსაც ფართალი
მცხეთის მეურმეთ ნალი და თვალი.
(ვაი საწყალი ინჟინრის ბრალი),
გეგმა იძახის მიშველე ჩქარა,
ამდენი რბენა ძმაოჯან, კმარა!
თორემ ტალახი შემიჯდა ტანში
სული ამომხდა პირველ კვარტალში

**ს. ძნელოღლი**

# ციფრების გადასმა

ნახ. ალდადანოვასი.

ავლაბარში თეატრი ოთხი წელიწადია შენდება, მაგრამ დამთავრებას ხელმძღვანელთა დაუდევრობის გამო საშველი არ დაადგა.



— ვა, შენ არ გაგიგია, რომ ოთხწლედი ხუთწლედში უნდა დავამთავროთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტფილისი—მოსკოვი... მოსკოვი—ტფილისი

ნახ. ლონის



ზამბე ლექავა (ზამბე ლექავას):— ზამბე, შენ საითკენ?
— მოსკოვიდან ტფილისისაკენ... შენ საითკენ? — ტფილისიდან მოსკოვისაკენ!



## ყურმოკრული
### (ამბროლაური)

საშაქარლამო არტელის წინ ორი კაცი ერთი - ეორეს ელაპარაკებოდა:

— ბიქტორ, სადა ხარ, კაცო, ამდენ ხანს?

— სად ვ ქნები, სახლში ვარ, ხან ვნადირ ბ და ხან ტყვილა ვარ... ამას წინად იმოდინა არჩვი მოვკალი, რომ ორ ფუთზე მეტი იქნებოდა.

— როგორ, აქ აღარ მსახურობ თუ?

რავა არა, შე კაცო, მარა ერთი მითხარი საშაქარლამოში რა უნდა ვაკეთო. წიირ ბი მუშაობენ, მე გამოვალ თვეში ორჯერ-სამჯერ და გათავდება საქმე.

— მერე ... ირი?

— 160 მანეთი მეძლევა სამ დღეში... მაშ.. ასე ვიცი.—სთქვა მედიდურად მან:

მე ვი თხე:

— სათაა „მუუბუქი ... რია“, ან მუშგლეხინი? მაგრამ იქვე ერთმა მითხრა:

— შე კაი კაცო, კედლის გაზეთში ოთხჯერ იყო, მაგრამ რა გამოვიდა შედეგი არ ჩანს.. საშაქარლამო არტელის მუშაობა ვერაა კარგად დაყენებული, თავ-რე ბიქტ ..რ ჯოხაძე კი სანადიროთ დაიარება.

**ბირბილოსანი.**

## სიკოს თესვა

დირექტივა მოუვიდა
თავმჯდომარე სიკოს,
— ეჰ, მაგისთვის სად მცალია
მაუდის ქვეშ იყოს!
გადასძახა გვერდზე ხდივანს
ჩაჯდა სავარძელში,
მერე ზანტად გაიზმორა,
გაიშალა წელში.
— „ჯერ თესვაძლის დრო ბევრია
სჯობს, რომ ღვინო შევსვა.
ქეიფობას არაცვალა
თავმჯდომარემ თესვა.
სოფელი ტემპს ჩამოშორდა,
გეგმა ვერ შესრულდა
თავმჯდომარე, ძია სიკოს,
ალბად ასე სურდა!

**ლენტო**

ნახ. **ვერულეიშვილის**



— რას ამბობ, სუდია: გასა მე კერძო ვარ? კოოპერატივის საქონელს ვყიდდი!

## სამტრედია

მივდიოდი ნელა, ჩუმად, პარებით,
დაკეტილი დამხვდა მაინც კარები.
საუბარი მსურდა მასთან ასჯერა,
რომ მას ჩემი არასოდეს არ სჯერა.
რომ **სადგური** გადაიქცა სამარეთ,
რომ ავარიებს არაფერსა „ავალებს“
რო ზოგიერთს თავზე რქები აბია,—
თუ არ გჯერათ, ა, შეხედეთ კაბიანს.
**კოლექტივი** და **ქარხანა** არ უყვარს
და ამ სადგურს მიყავს იგი სულ უკან
ე, სადგურო, **უფროსი გყავს** მგონია.—
უფროსს თავში ასი ბუზი ჰყოლია.
**კავშირები** საცოდავად კვნესიან
(ხსენებაზე დარდი შემომესია)
გაზაფხულის ხმები ტკბილად გვესმისა,
მოდის ჟამი ბოლშევიკურ თესვისა.
და რაღაცა უჩინარი აშინებს—
**კავშირებო**, ეს არ შვენის კავშირებს.
დირექტივებს არ კითხულობთ ზევიდან
და ბრუნდებით ცარიელი კრებიდან.
ავტორიტეტს არ ჰქმნით მასის თვალებში
და დადიხართ ისე არე-მარეში.
აწ ვებრძოლოთ უკან ხვლას და გარღვევებს.

ოოემ ტემპებს ხმები აღელვებს
ამ „**სახკავებამ**“, გაგვიჩინა ანთება,
ყოველ წუთში გვესმის ფასის მატება.
სასადილო გადაგვექცა ფიქრებად,
თუ **ვალიკო** კვლავ კვებაში იქნება.
თუ კი შეხვალ, ამოგძვრება სულია,
და გამოხვალ გაფხეკილი სრულიად!
ამ სიტყვისთვის მე ვალიკო მომიტევს
ვაშა, ვაშა „**სახკავშირსა**“ მიკიტნებს.
რაიონში ვინ აკინძა ეს კონა.
რაღა გვიშავს, თუ ისინი გვეყოლა.
რომ შეხედო იმათ გამოხედვასა,
მწუხრით იტყვი: სად ვარ, ვაი დედასა.
მაგიდებთან სხედან გარიყულები...
გულში ბოლმა გაგიჩნდება ყურებით.
რაიონო, თუ არ შეცვლი კილოს.
ტრანსპორტი კვლავ ჩამორჩება, სვილოსა...

**ჭაბნელი ბზიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიდუმლო სერობა

(ბოსლევი)

**(სცენა წარმოადგენს ყოფ. ღვდლის ბინას. მაგიდასთან სხედან შექეიფებული ვაჭრები, დიაკონი, კულაკები და ყოფილი მღვდლები)**

**პირველი ნახუცარი:** (ღაღადებს ლოცვის ხმით თითქოს წირვას ასრულებდეს) დიდ არს და საკვირველი უფალი, ამ...ნი და მო...ობანი ჩვე...ი თე...

**დიაკონი:** აააამის!

**მეორე ნახუცარი:** გააანუსვენე უფალო, ათასსა მას ორსა ოფლიანსა მანეთსაა!...

—**მესამე ნახუცარი:** რომელიც მიაქამა იაკინთემ,—თავმჯდომარემან ყოფილმან მუშკოპისამააან!...

**დიაკონ** აააამინ!

**მეხუთე** ნახუცარი: განუსვენე უფალო საქმესა მას ჩვენი თემის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საწარმოო ამხ. ნაგომბისაა!...

**მეექვსე ნახუცარი:** რომელიც ...მასაქნეხული იქნა ორასი ვედრო ღვინო, სამი ათასი კილო სოია და არა მარტო ღვინო და სოიაააააა!...

**დიაკონი:** ააამინ!...

**პირველი ნახუცარი:** მიავლინე ნესვეურნი ყოფილნი ჩვენი თემისანი თავმჯდომარენი საბჭოისა თემისანი, რომელნი ცვიოდენ სავარძლიდან სათავმჯდომარეოიდან თვისიდან, მსგავსად ვაშლისა მის ტყიურისა, რომელსაც ქვია პანტა; განუსვენე იგინი ხაშვებელსა მას ადგილსა წიაღსა შინა აბრაამისა, რამეთუ მოგვათავსა და უვნებელგვყო ჩვენ; ყოველნი კულაკნი, ნახუცარნი და მავნებელნი ამა თემისანი კოლექტივსა მასა შინა, შეხორცებად მის სოციალიზმისა, ვითარცა სულნი უცოდველნი ბატკანისა მამისა მის აბრამისა.

**დიაკონი:** აააააამინ! **მედუზა.**

ნახ. ალ ზასეევის



— სად მიგყავს ეს პატარა ბიჭუნია?

— ტფილისში... ამბობენ ქალაქში მცხოვრებნი დღითი-დღე იზრდებიანო.. მეც ამიტომ მიმყავს, რომ მალე გაიზარდოს!

# ნაოესავი

ნახ. კახიანის



—ეჰ, ყველაფერი ნათლიმამობით კეთდება!

— მართალია! გუშინ სანამ ნოქარს მშობლები არ შევუგინე, ყურადღებაც არ მომაქცია

## მართალი ამბავი

### სადგური გიური

— ცურვა არ იცი, ამხანაგო?—შემეკითხა მუდარების კილოთი მოქალაქე.

— ცურვა სადგურზე რა შუაშია!

— იმ შუაშია, რომ ცურვა არ ვიცი და სალაროს ისე ვერსაიდან მიუდექი.

მოქალაქე ჭკუაზე შეშლილად ჩავთვალე. სად ცურვა სად სალარო!—გავიფიქრე და გავშორდი.

სადგურის დარბაზიდან ღრიალი შემომესმ..

— იხრჩვება,.. უშველეთ...

გავიხედე დარბაზისაკენ. წყლიდან ამოიყვანეს დასველებული მოქალაქე. რომელსაც ხურჯინისათვის ჩაევლო ხელი.

— რა ვიცოდი, თუ ასე ღრმა იქნებოდა, თორემ როგორ შევბედავდი—ყვიროდა მოქალაქე, რომელსაც ულოცავდენ მშვიდობით გადარჩენას.

— დარბაზში თევზების მოშენებას ხომ არ აპირებთ?—შევეკითხე სადგურის დარაჯს.

—თევზების მოშენებას ვაპირებდით, მაგრამ ბილეთისათვის მოსული მოქალაქეები აფრთხობენ!

— კი მარა დარბაზში წყალი საიდან დგება?

— შე კაცო მაგი აღარ იცი? ცემენტით დახურის სადგურის ახალი შენობა, თუნუქით დახურვა „დაავიწყდათ" ცემენტი მზემ დახეთქა და წვიმის დროს გარეთ დგომა სჯობია, რადგან დარბაზში უფრო წვიმს.

— ადმინისტრაცია არ ღებულობს ზომებს სახურავის შესაკეთებლად?

— ფიქრობს შეკეთებას, მაგრამ ჯერ ვერ გაძოილევიძა!

**კალმოსანი**

# ღვეპა

## მარაგება

**სოფ. ზედა-სიმონეთი** (ქუთ. რაიონი) კოოპ. თავმჯდომარემ შეიმუშავა სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად სამრეწველო საქონლით პირველ რიგში თავის ოჯახის გარდა მომარაგდება მისი უახლოესი ნათესავები და მეგობრები. —**ვი.**

## იშვიათი ბაღი

**ქვემო - მაჩხაანი.** ადგილობრივი ბაღის მოვლა კარგად მიმდინარეობს. მებაღის ბრძანებით — ბაღში ხალხის შესვლა აკრძალულია, სამაგიეროდ ბაღში სისტემატიურად დასეირნობენ ღორები. ადმასკომს აზრად აქვს ამიერიდან ბაღს დაარქვას: „ღორების სასეირნო ბაღი".

იუ...ი.

## უბედური შემთხვევა

**ბაღლაკი.** (ქუთაისის რაიონი) სამიწადმოქმედო სექციის თავმჯდომარეს ამხ. ვასილს, როცა იგი „ფეშქაშად" მიტანილ ...ამწვარ გოჭს მიირთმევდა—უცებ ყელში გაეხირა ძვალი, ვა...ილი სასწრაფო დახმარებით დახრჩობას გადაარჩინეს. ამ მოვლენამ ხალხი გაახარა, ამბობენ—შეიძლება ვასილი შეშინდეს და ქრთამის აღებას თავი დაანებოსო.

**იქვე.** მოხდა აგრ. საწარმოო ამხანაგობის ლიკვიდაცია, ამ მოვლენით გათამამებულმა მოსამსახურეებმა თავიანთ შორის გაინაწილეს სოიას დასამზადებლად მიღებული ფართლეული.

...მი

## სალათას ძილი

**სოფ. როდინოული.** (ზესტაფონის რაიონი) შვიდი თვეა მას შემდეგ, რაც დამუნჯდა ადგილობრივი რადიო. ადგილკომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩემთვის სულ ერთია რადიო დაყრუვდება თუ არა, რადგან მე მუდამ მძინავს და არაფერი მესმისო

...ანგი.

## ნამდვილი მიზეზი

**ს. აგუდძერი** (სოხუმი) აგუდძერის სანატორიუმში მოუვლელობის გამო საიქიოსკენ გაემგზავრა რამოდენიმე ავადმყოფი. სანატორიუმის გამგემ შეკითხვაზე უპასუხა, რომ მართალია ამის მიზეზი სანატორიუმის საექიმო პერსონალია, მაგრამ მე რა ვქნა, ეს რა ჩემი ბრალია, მე უფლება არა მაქვს ძილი დაუფრთხო მოწყალებებს და მომვლელებს, რადგან „ხოზრაშჩოტია" და მათ ძილის უფლება აქვთო.

**უჩინ-მაჩინი.**

# ნიანგის საკბილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის ზოგიერთი მასწავლებელი—მოსწავლეებს ეპყრობა უდიერად, აგინებს და ლანძღავს“.

**მაღლაკელი**

## დაფასდება მათი შრომა
(ქუთაისი)

პედაგოგი უკეთესი
არ გვგონია სადმე იყოს,
ვინ იქნება მათ ედაროს,
მსხვერპლი ესდენ რომ გაილოს?
ვინ იქნება თავის საქმე
უკეთესად რომ გაიგოს,
მოწაფეთა ალსაზრდელად,
რომ გინიბა შემოილოს?



14

ვა'მა, ასეთ პედაგოგებს
დიადია მათი ღვაწლი,
მათი ღვაწლი დაფასდება,
დაფასდება შრომა მათი.

„ოჩხამურის (ქობულეთის რაიონი) საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოოპ. ფურნის გამგე დავითაია იპარავდა ფქვილს, რომელიც ამჟამად მეშგლოეხინის წყალობით გამსახლში „ისვენებს“. )

**აჭარელი მახათი**

## ძველ ხელობას არც აქ იშლის
(ქობულეთი)

დავითაია კ-ცი იყო
თაგვობა არ სურდა ალბათ,
მაგრამ ფქვილი, როცა ნახა
გადაიქცა იგი თაგვად.
ფქვილი... შავი არ გეგონოთ,
თეთრი ფქვილი ჭამა ხარბად.
ბევრი ტომარა გადახრა
და გამოძღა იგი კარგად.
მაგრამ ეხლა გამსახლში ზის
და იგონებს დროებას ძველს,
ძველ ხელობას არც აქ იშლის,
და ხრავს იგი... ციხის კედელს...

სენაკის სარეწაო კოოპერაციის წინდების საქსოვ ფაბრიკის გამგე—ქაჩიბაია შეუფერებელია თანამდებობისათვის, როგორც ინტრიგანი და ბიუროკრატი“.

**კრიჭა**

## რკინის ცოცხი ინტრიგანებს
(სენაკი)

ინტრიგანებს უნდა დავცხოთ
შესაფერი მივცეთ ბინა,
გამგეობა რას აკეთებს



უდარდელად ხომ არ სძინავს?
ხომ არ არის შეპყრობილი
უთავობის ცოდვა-ბრალით?
თუ ასეა, არ ასცდება
„ნიანგისა“ მას ჩანგალი!

„გულრიფის (სოხუმის ოლქი) ფოსტაში გამეფებულია უთავბოლობა, წერილები იკარგება, გამგე ამ გარემოებას არ აქცევს ყურადღებას“.

**.უჩინ-მაჩინი**

## უთავო გამგე
(გულრიფი)

ფოსტის გამგე თუ არ ვარგა
თუ გადიქცა ზედმეტ ბარგად,
[illegible] მეუშაობს ეით წერილ[illegible]—
[illegible]



და „ნიანგიც“ ასე ბრძანებს:
უნდა დავცხოთ ამისთანებს,
მავნებლებს და მუქთახორებს,
მძინარებს და ინტრიგანებს.

„გურჯაანის გლეხთა სახლის გამგე—მეგრელიშვილი—ღამის გასათევად მისულ გლეხებს გარეთ ერეკება, ხოლო თავის ძმა ბიჭებისათვის მზადა აქვს ბინები“.

**მფრინავი**

## გამგის სიმღერა
(გურჯაანი)

მეგრელიშვილი იმღერის:
„გლეხთა სახლის ვარ მმართველი,
სახლი ჩემია, ვბატონობ,
გლეხის კი მარტო სახელი...



ვინ გამიბედავს რამესა
კაცსა მაქვს ღონე, ჯანია,
ბევრი მყავს ნათესავები
ჩემი ერთგული ძმანია;
სტუმრად ვღებულობ იმასა,
ვინ[illegible] არის ჩემიანია,
ვისთანაც მისვამს კახური
და პური შემიჭამია“.

## ქათმის მოყვარული

**ნახ. მარიაშის**

„ქედის რაიონში (აჭარა) სალოლიეთის თემის საექიმო პუნქტის ექიმი ავადმყოფის სანახავად იმას მიჰყვება. ვინც 15 მანეთს მისცემს ან ორ დედალს მიუყვანს“

(წერილიდან)



ჩვენი ექიმი კარგია
იგი არ არის მელია,
უყვარს ქათმები—მიტომ რომ,
ხორცი აქვს გემრიელია!

# გაქაფვაში მარჯვეა ფილიმონე დარჩია, კაცი არის არ ჩია, საკონდიტრო არჩია.

ცუდია თუ ავი, ოზურგეთში ხდება ეს ამბავი. გმირი ამ წერილისა არის ფილიმონე დარჩია, რომელმაც პურის საცხობს საკონდიტერო არჩია.

არჩია იმიტომ, რომ კაცი არის არ ჩია, პირსა და ცოლშვილს ტკბილეულობა აჩვია და შეეჩვია საკონდიტროში, როგორიც მელა-მაჩვია.

წინედ პურის გამოსაცხობში დაიჭირეს ფილიმონე, თავი უკრეს მას ჩეკაში (იხილეთ ოქმები სამტრესტის და ლანჩხუთის პოლიტსამმართველოს განყოფილებისა).

გამოვიდა გამსახლიდან, არე-მარე ესხვაფერა. სასოებამ ფრთა გაშალა, საკონდიტროს დაეძგერა.

შედახედა ტკბილეულებს კვერცხია თუ შაქარია და სთქვა:—რასაც დავეძებდი ყველაფერი აქ არია.

და ფილიმონმა ინება, რომ ტკბილეულებს მის სახლისკენ ეწყო დენება. მიდის კულიჩი, კვერცხი, კარაქი. არ გეგონოთ თქვენ ეს არაკი, სინამდვილეა, ნამდვილი, გაგებაც არის ადვილი.

დამშივდენ საკონდიტროში ვირთხები. დაიძრენ ფილიმონის სახლისკენ ვით თხები. მათ უკან გაჰყვენ თაგვები, რადგან არც ამათ ჰქონდათ საკვები. იქითკენ დაიძრა მათი ამალა, სადაც ფილიმონემ კვერცხი, შაქარი და კარაქი დამალა.

ადმინისტრაცია რომ გაჰყოლოდა ამათ კუდში,—თავი ექნებოდა ქუდში. ნახავდენ გზა-კვალს დღეს იქნებოდა, თუ ხვალ.

ფილიმონე დარჩია, მანდ შენ დიდ ხანს დარჩია.

**პილპილი.**



# ჭიათურა

ჭიათურისა ფოსტაში
საქმეა მეტად წამხდარი,
მუშაობს მარტო ბარნაბა,
იაქესავით დამჯდარი!
ტრიალებს, საწყალს ოფლი სდის,
შრომაში ერთობ ჩქარია,
შიგნით, საქმისთვის მოსული
მოქალაქეთა ჯარია!
წერილთა გროვა აწყვია,
სამი დღის გაურჩეველი,
ფოსტალიონი არსად სჩანს,
ის ოჯახ დასაქცეველი!
ყველა მის წერილს დაეძებს,
არის იქ აურ-ზაური,
მოქალაქეთა ყიჟინა
და უადგილო ხმაური!
წერილებს ყრიან აქა-იქ,
არაა წესი დაცული,
სულ ერთმანეთში არიეს:
გასაგზავნი, თუ მოსული!
არა სჩანს კაცი პატრონი,
არა აქვს არვის რიდია,
ლომხალი არის შექმნილი,
უწესოება დიდია.
დაურიგებელ წერილებს
ქუჩაში ვხვდებით დაყრილსა,
ვერც გაზეთები აღწევენ:
სწორედ დანიშნულ ადგილსა!
ფოსტისა გამგეს ვერ ნახავ,
თვით დიოგენის ფარანით,
საცოდავ მარკოზ სტეფანიჩს,
გული ევსება ვარამით!
ყველა მასა სთხოვს პასუხსა,
გამგე კი არ სჩანს არსადა,
რა ქნას საწყალმა მარკოზმა.
ველარ გაიჭრა ასადა!
აქაც მუშაობს, იქაცა,
ფოსტაში უდგას ლოგინი,
შველა სჭირია ამ საქმეს,
კმარა: ფიქრი და ლოდინი!

**გოგია.**

# გოდორი

**ჩხარელს** (დ. ჩხარი). თქვენ იწერებით რამდენიმე გამოცანას და მოითხოვთ მათ ახსნას. რომ მკითხველები არ შევაწუხოთ აქვე ვათავსებთ (უფრო საყურადღებო) გამოცანების შინაარსს და მის ახსნას.

დასახელებულ გამოცანაში ამბობთ:

**სოფ. ძევრის კოოპერატივი გადავიდა ახალ ბინაზე. გამოიცანით, სად და ვისი თაოხნობით?**

— სად და გამგის ან ნოქრების ბინაზე, მათივე თაოსნობით, რადგან ზოგიერთ კოოპერატივის ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში კოოპერატივის საქონელს აკრძალული აქვთ „მომაკვდავ“ მომხმარებლის ხელამდი მისვლა და მით უმეტეს „უცხო“ ბინებში ღამის გათევა.

**ქოლას** (ხრესილი). ჩვენ თანაგრძნობას ვუცხადებთ თქვენი სადგურის ადმინისტრაციას, რომელსაც

მოუხდენია მრავალი
ტერორისტული აქტები
რომ მით დაიხსნან სადგური
ლორთაგან ხელში ნაგდები.

**ლუქსოს** (გურია). კულაკებისათვის და მათი დამქაშებისათვის ჩვენ გოდორზე უფრო „საპატიო“ ადგილი არ გვეგულება. ამიტომ აქვე მოგვყავს თქვენი დიალოგი, რომელიც ვინმე ლუკა გოგუაძეს შეეხება:

—რა არის დამქაში?

— დამქაშია მეორე მეზურნე, რომელიც, რასაც პირველი დაიწყებს, იმას გაიმეორებს ყბების უშნოთ გაბერვით. რაზე მეკითხები?

— აგერ სოფ. ჭყონაგვარელები ლაპარაკობენ, რომ ლუკა გოგუაძე კულაკების დამქაშიაო და...

— ჰოო, ის სხვანაირი დამქაშია... ის თვითონ კი არ ბერავს ზურნას, არამედ კულაკების ჩაბერილზე თვითონ ბუქნავს...

**ჩხარელს** (ჩხარის რაიონი). თქვენი წერილი ადგილობრივ სკოლის მასწავლებელ ვაჟის და ადგილობრივ სკოლის მასწავლებელ ქალის შესახებ ადგილობრივ გოდორში (უკაცრავად,—სარედაქციო გოდორში) გადავარდა.




...არეიშვილი მშრომელთა მასებს არა სწამთ ბურჟუაზიული კრიზის ცილისწამება საგარეთა კა...

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქუჩა № 68.